

## საქართველოს კანონი

### სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ

#### თავი I. ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების (შემდგომში – ქონება) სარგებლობაში გადაცემისა და გასხვისების სპეციალურ მოთხოვნებს.

2. ეს კანონი არ ვრცელდება:

ა) სახელმწიფო საბინაო ფონდზე (გარდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული ან/და გადასული უმკვიდრო საცხოვრებელი სახლებისა და ბინებისა);

ბ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემაში ძირითადი (განუხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებულ შენობა-ნაგებობებზე;

გ) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზებაზე.

##### მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქონება – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ან უძრავი ნივთი;

ბ) ქონების გადამცემა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში – ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) ან ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით სარგებლობაში გადასცემს ან ასხვისებს ქონებას;

გ) სარგებლობაში პირველადი გადაცემა – სარგებლობაში გადაუცემელი ქონების სარგებლობაში გადაცემა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოების (შემდგომში – სახელმწიფო ორგანოები) და იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის, რომელთაც კანონის შესაბამისად არ გააჩნიათ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო.

### მუხლი 3. ქონების სარგებლობაში გადაცემის ფორმები და პირობები

1. ქონება სარგებლობაში შეიძლება გადაცემულ იქნას ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, კონკურსის ან აუქციონის საფუძველზე ან მათ გარეშე. სახელმწიფო ორგანოებისთვის ქონების სარგებლობაში გადაცემისას არ ხდება ქონების შეფასება.

2. ქონების სარგებლობაში გადაცემა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში იმ სახელმწიფო ორგანოს, ფიზიკური პირის, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ქონება.

3. აკრძალულია სარგებლობაში გადაცემული ქონების იპოთეკით დატვირთვა, დაგირავება, სერვიტუტით დატვირთვა, უძრავ ნივთზე სხვაგვარი განკარგვითი გარიგების დადება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც იწვევს ქონების მესაკუთრის შეცვლას, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 4. ქონების სარგებლობაში გადაცემისა და გასხვისებისას აუქციონის (კონკურსის) ჩატარების წესი და პირობები

1. ქონების სარგებლობაში გადაცემისა და გასხვისებისას, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუქციონი (კონკურსი) ტარდება „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება ხორციელდება „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### მუხლი 5. სახელმწიფო ორგანოებისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემა

სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ და ბალანსზე აიყვანონ ქონება, რომელიც მათ უსასყიდლოდ გადაეცათ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან. ასეთი ფორმით მიღებული უძრავი ნივთი ექვემდებარება სახელმწიფოს სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი II. ქონების სარგებლობაში გადაცემა

### მუხლი 6. სახელმწიფო ორგანოებისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემის წესი

1. სახელმწიფო ორგანო განცხადებით მიმართავს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქონების სარგებლობაში პირველადი გადაცემის თაობაზე. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განცხადების წარდგენიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განცხადებაში დასმულ საკითხზე თანხმობის გაცემის შესახებ, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოსათვის ქონების სარგებლობაში გადაცემის საჯარო

რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს, ან მოტივირებულ უარს აცხადებს ქონების გადაცემაზე. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უარის შემთხვევაში, ქონების გადაცემის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

2. ქონების სარგებლობაში პირველადი გადაცემის შემდგომ, სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ეს ქონება სარგებლობაში გადასცენ სხვა სახელმწიფო ორგანოს, რაზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3. სახელმწიფო ორგანოები დადგენილი წესით ქონების სარგებლობაში მიღების შემდგომ უფლებამოსილნი არიან აღნიშნული ქონება, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სარგებლობაში გადასცენ მათ მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რაზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4. სახელმწიფო ორგანო ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე წერილობით, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული აქვს ეს ქონება. მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებსაც კანონის შესაბამისად არ გააჩნიათ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, გარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა, შემოქმედებითი კავშირებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადის (თუ არ ხდება ქონების უვადოდ გადაცემა), აგრეთვე გადაცემის სხვა პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თაობაზე.

## **მუხლი 7. ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემის წესი**

1. ფიზიკურ პირებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს უძრავი ნივთი გადაეცემათ სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, კონკურსის ან აუქციონის საფუძველზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, იმ სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული.

2. ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ქონების გადაცემა კონკურსის (აუქციონის) გარეშე შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით.

3. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იმ უძრავ ნივთებს, რომელთა პრივატიზება აკრძალულია „სახელმწიფო ქონების და ავგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონით, უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, კონკურსის (აუქციონის) გარეშე, გადასცემს მხოლოდ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, სადაც სახელმწიფო საკუთრებაშია წილის (აქციების) 50% ან 50%-ზე მეტი.

### თავი III. მოძრავი ნივთის გასხვისება

**მუხლი 8. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის გასხვისების წესი**

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის გასხვისება ხდება აუქციონის ან კონკურსის მეშვეობით.

2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის გასხვისების უფლება აქვს სახელმწიფო ორგანოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც მოძრავი ნივთი გადაცემული აქვს სარგებლობაში. თუ მოძრავი ნივთი არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ასხვისებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

3. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის გასხვისების უფლება აქვთ მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით.

4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### თავი IV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი**

1. სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს ამ კანონით დადგენილი წესით განკარგოს ის ქონება, რომელიც ირიცხება ამ სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბალანსზე.

2. თუ ვერ დგინდება ქონების შესაკუთრე, სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, უფლება აქვს მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ქონების სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხვისა და ამავე სახელმწიფო ორგანოსათვის/საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, რომელსაც კანონის შესაბამისად არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, ქონების სარგებლობაში გადაცემის რეგისტრაციის თაობაზე.

3. სახელმწიფო ორგანოების მიერ სარგებლობაში მიღებული ქონების სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში უქმდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ამ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხდა უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემა.

4. ამ კანონის ამოქმედების დღისთვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) მოქმედი ნორმატიული აქტების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ბ) „სახელმწიფო ორგანოსათვის უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ დამტკიცება.

5. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონი.

#### მუხლი 10. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*